შპს კაპიტალი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩე

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ 7

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა 7

1. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 8

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება 14

4.ამონაგები 14

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 14

6. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი / ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 15

7. ფული და ფულადი სახსრები 15

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16

9. მიმდინარე მარაგი 16

10. სავაჭრო ვალდებულება 18

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება 18

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშნები	*2024*	*2023*
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	***შენიშნები***	***2024***	***2023***
ამონაგები	4	3,546,160	2,500,660
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(1,179,648)	(901,702)
საერთო მოგება/ზარალი		*2,366,512*	*1,598,958*
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	6	-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,898,532)	(1,640,103)
საოპერაციო მოგება/ზარალი		*467,980*	*(41,146)*
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯები		-	-
საკურსო სხვაობა		-	-
სხვა სრასაოპერაციო შემოსავალი		608	2,235
სხვა ა‘ ასაოპერაციო ხარჯები		(17,112)	(17,664)
მოგება დაბეგვრამდე		*451,475*	*(56,574)*
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,815)	(9,480)
წმინდა მოგება/ (ზარალი)		***447,660***	***(66,054)***

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: ირაკლი კორძახია

მთავარი ბუღალტერი: ნინო ადუაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნები	***2024***	***2023***	***2022***
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	54,202	32,878	30,413
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		30,125	28,468	6,325
გადახდილი ავანსი	8	1,495	1,495	
მიმდინარე მარაგი	9	133,918	133,840	217,777
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	-	
წინასწარ გადახდილი გადასახადი		-	-	384
სულ მიმდინარე აქტივები		219,740	196,681	254,899
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		262,542	323,290	63,379
არამატერიალური აქტივები			-	
სულ გრძელვადიანი აქტივები		262,542	323,290	63,379
სულ აქტივები		***482,282***	***519,971***	***318,278***
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულება	10	151,951	186,675	12,351
მიღებული ავანსი	10	2,410	-	
მოკლევადიანი სესხები	10	-	258,111	2,800
საგადასახადო ვალდებულება	10	19,441	10,380	8,237
სულ მიმდინარე ვალდებულება		*173,802*	*455,166*	*23,388*
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	18,793	123,103	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		*18,793*	*123,103*	-
სულ ვალდებულება		***192,595***	***578,269***	***23,388***
კაპიტალი		3,201	102,876	21,145
დაგროვილი მოგება-ზარალი		286,486	(161,174)	273,745
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	-			
სულ კაპიტალი		*289,688*	*(58,298)*	*294,890*
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		***482,282***	***519,971***	***318,278***

დირექტორი: ირაკლი კორძახია

მთავარი ბუღალტერი: ნინო ადუაშვილი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	მოგება-ზარალი	დივიდენდის განაწილება	**სულ კაპიტალი**
2023	102,876.45	(161,174.00)	-	**(58,298)**
2024	3,201.45	286,486.15	-	**289,688**

დირექტორი: ირაკლი კორძახია

მთავარი ბუღალტერი: ნინო ადუაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023
მომხმარებლისგან მიღებული ფული	4,108,957	2,876,909
მომხმარებლისგან მიღებული ფულის უკან დაბრუნება	(1,575)	(1,010)
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(3,048,891)	(2,849,304)
მომწოდებლისთვის გადახდილი ფულის უკან დაბრუნება	4,754	12,251
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(254,989)	(236,287)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	(293,913)	(117,592)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადის უკან დაბრუნება	-	6,977
საპენსიო სააგენტოში გადახდილი	(10,250)	(7,100)
გადახდილი ავანსი	-	(1,495)
გადახდილი ავანსის უკან დაბრუნება		-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	*504,092*	*(316,650)*
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-	(18,686)
მიღებული პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	*(18,686)*
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	-	508,700
გადახდილი პროცენტი	(7,796)	(17,664)
აღებული სესხის გადახდა	(375,297)	(153,234)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(99,675)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	*(482,768)*	*337,802*
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წეტო ზრდა/(შემცირება)	21,323	2,465
დადებითი საკურსო		
უარყოფითი საკურსო		
სავალუტო ცვლილების ეფექტი		
საწყისი ფულადი წაგთი	32,878	30,413
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენ	*54,202*	*32,878*

დირექტორი: ირაკლი კორძახია

მთავარი ბუღალტერი: ნინო ადუაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს შპს კაპიტალი(შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 21 ივნის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 405341321 .

კომპანიის იურიდიული საქართველო, საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., N 63, ბ. N 137

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია:

1. ირაკლი კორძახია, 62001015447

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებელია:

ირაკლი კორძახია, 62001015447 -100%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფიანანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს). საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. საწარმო არ ფლობს ისეთ აქტივებს, რომელიც უნდა შეფასებულიყო რეალური ღირებულებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

შპს კაპიტალი ეწევა სარეტორნო მომსახურებას. აქვს პატარა რესტორნები რამოდენიმე ადგილას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს კაპიტალი ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა.

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის, მისი შვილობილი და ასოცირებული საწარმოების საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიას ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი.

უცხოური ვალუტები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში

განსაზღვრული რეალური ღირებულებით აღიარებული არამონეტარული ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა

1. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ისე, თითქოს იგი ყოველთვის ამ სტანდარტს იყენებდა.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:
ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას(პირდაპირი მეთოდით)
ე) განმ. ..ტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.
საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.
(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

დოლარი
31.12.2022 - 2.7020
31.12.2023 - 2.6894
31.12.2024 - 2.8068
ევრო
31.12.2022 - 2.8844
31.12.2023 - 2.9753
31.12.2024 - 2.9306

(ბ) შემოსავალის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:
ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
გ)შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:
ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად
შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნეს-სთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:
► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები" მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(3) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობ. ᲨᲘ-ნაგებობები	7 - 10 წელი
მანქანა-დანადგარები	8 - 10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3 - 5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2- 5 წელი

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-10 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი

სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაკების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოე-ბი ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწრამოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდებდა თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვადულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება. თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის

განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

4.ამონაგები

ამონაგები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

4 ამონაგები/სხვა საოპერაციო შემოსავალი

პერიოდი	*2024*	*2023*
შემოსავალი მომსახურებიდან	3,546,160	2,500,660
ჯამი	*(1,179,648)*	*2,500,660*

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

5 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

პერიოდი	*2024*	*2023*
ძირითადი მასალების დანახარჯები შეძენა	(1,179,648)	(901,702)
ჯამი	*(1,179,648)*	*(901,702)*

6. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი / ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი და ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

პერიოდი	*2024*	*2023*
კომუნიკაციის ხარჯი	11,429.41	12,989
საიჯარო ქირა	922,131.76	938,789
შრომის ანაზღაურება	328,576.21	301,651
საკონსულტაციო ხარჯი	20,439.10	10,742
ცვეთა და ამორტიზაცია	100,990.11	56,354
საგადასახადო ხარჯი	100,990.11	9,083
სხვადასხვა მომსახურება	97,069.45	15,215
რემონტი	42,508.06	27,055
ბანკის საკომისიო	78,532.65	56,976
სხვა ხარჯი	195,865.00	211,519
ჯამი	*1,898,532*	*1,640,373*

7. ფული და ფულადი სახსრები

ფული და ფულადი სახსრები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

7 ფული და ფულადი სახსრები

პერიოდი	*2024*	*2023*
ფული სალაროში	42,607	3,978
ფული ბანკში ლარში	11,594.41	3,978
ფული ბანკში დოლარში		28,900
ფული ბანკში ევრო		
ჯამი	*54,201*	*36,856*

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

8 სავაჭრო მოთხოვნა

პერიოდი	*2024*	*2023*
სავაჭრო მოთხოვნა	30,125.44	28,468
გადახდილი ავანსი	1,495.00	1,495
ჯამი	***31,620***	***29,963***

9. მიმდინარე მარაგი

მიმდინარე მარაგი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

9 მიმდინარე მარაგი

პერიოდი	*2024*	*2023*
მიმდინარე მარაგი	133,918	133,840
ჯამი	***133,918***	***133,840***

10. სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

პერიოდი	*2024*	*2023*
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	151,951	186,675
მიღებული ავანსები	2,410	-
მოკლევადიანი სესხი	-	258,111
საგადასახადო ვალდებულება	19,441	10,380
ჯამი	***173801.75***	***455166.26***

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

11 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

პერიოდი	*2024*	*2023*
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	18,793	123,103
ჯამი	***18792.96***	***123102.54***

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები.
საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.